ს.ს.ი.პ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“
ბრძანება

14. 09. 2009 №107

(თბილისი)

სტიპენდიის დანიშვნის წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და წარჩინებული სტუდენტებისათვის წამახალისებელი სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის II, III, IV და უმაღლესი პროფესიული განათლების II და III კურსის სტუდენტებს, რომლებმაც სტუ-ს №4 (14.01.2009წ.) ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში (2009 წლის 15 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით) დააგროვეს 91% ან მეტი რეიტინგი, დაენიშნოთ სტიპენდია თვეში 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სტიპენდია გაიცემა 2009 წლის 1 ივლისიდან 1 იანვრამდე, 6 კალენდარული თვის განმავლობაში
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოთ ფაკულტეტის დეკანებს.
4. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თავლსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

რექტორი,
პროფესორი — ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი — ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი — ბ. მაისურაძე